ნების დამთრგუნველი გარემოებების ფარგლებში ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის გაუპატიურებად კვალიფიკაცია

ეკატერინე ნიჟარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის სკოლა, სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ეკატერინე ნიჟარაძე,

25.06.2024

აბსტრაქტი

2017 წელს საქართველომ მოახდინა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება, თუმცა სქესობრივი დანაშაულების დეფინიცია კვლავაც არ შეესაბამება მის სტანდარტებს. კერძოდ, იგი არ ითვალისწინების თანხმობის არარსებობისა და ნების დამთრგუნველი გარემოებების ელემენტებს, გაუპატიურების დანაშაულში. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთან დაკავშირებული რიცხვები ყოველწლიურად იზრდება ქვეყენაში. ასევე გრევიომ გამოაქვეყნა საბაზისო შეფასება, სადაც გააკრიტიკა არსებული კანონმდელობა და მოუწოდა საკანონმდებლო ორგანოს, საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციისკენ. კვლევის მიზანია, გამოიკვლიოს, რა შემთხვევაში უნდა მოხდეს ნების დამთრგუნველ გარემოებებში ჩადენილი ქმედების გაუპატიურებად კვალიფიკაცია. მიზნით, შესწავლილ იქნა ნების დამთრგუნველი გარემოებების ფორმები და მათი იდენიტიფიცირების აუცილებლობა მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ნების დამთრგუნველი გარემოებების შეფასება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, კონტექსტზე დაფუძნებული, ყოვლისმომცველი გარემოს გათვალისწინებით. გაუპატიურების ნორმა არ უნდა იყოს ფოკუსირებული ფიზიკურ ძალადობასა და წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობაზე. ამჟამინდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა საჭიროებს, გაუპატიურების განმარტების შეცვლას და იგი ნაცვლად ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენებისა, უნდა ეფუძნებოდეს თანხმობის არარსებობასა და ნების დამთრგუნველ გარემოებებს.

საკვანძო სიტყვები: მსხვერპლი; გაუპატიურება; ნების დამთრგუნველი გარემოებები; მოწყვლადი პირები; უმწეო მდგომარეობა.

Abstract

In 2017, Georgia ratified the Istanbul Convention, but the definition of sexual crimes still does not meet its standards. In particular, it does not take into account the elements of the absence of consent and circumstances suppressing the will in the crime of rape. It should be noted that the numbers related to the latter are increasing every year in the sub-region. Grevio also published a baseline assessment, where he criticized the existing legislation and called on the legislature to harmonize it with international standards. The purpose of the study is to investigate in what cases the action committed under conditions of suppression of the will should be qualified as rape. For this purpose, the forms of circumstances suppressing the will and the need to identify them in relation to vulnerable groups were studied. As a result of the research, it was revealed that the assessment of will-suppressing circumstances should be done individually, based on the context, taking into account the comprehensive environment. The rape norm should not focus on physical violence and the need to resist. The current criminal law needs to change the definition of rape and it should be based on the absence of consent and circumstances that suppress the will instead of the use of violence or the threat of violence.

Keywords: victim; rape Circumstances suppressing the will; vulnerable persons; helpless condition